ბრძანება № 5-116

გორი 23 12 2021წ.

,,სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 13 დეკემბრის N5-85 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" და ,,ზ" ქვეპუნქტებისა და კანცელარიის უფროსის (17.12.2021. N1385569) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 13 დეკემბრის N5-85 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ხელმოწერილი ბრძანება ტარდება შესაბამისი ინდექსის მიხედვით. ეს ინდექსებია:

1-00 საორგანიზაციო ბრძანებების ინდექსი (რექტორის ხელმოწერით);

2-00 სტუდენტთა შესახებ ბრძანებების ინდექსი (რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით);

3-00 საკადრო ბრძანებების ინდექსი (რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით);

4-00 სამივლინებო ბრძანებების ინდექსი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით);

5-00 საორგანიზაციო ბრძანებების (უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობა) ინდექსი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით);

6 -00 აკადემიური საბჭოს დადგენილებების ინდექსი (რექტორის ხელმოწერით);

7-00 წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებების ინდექსი (სპიკერის ხელმოწერით);

8-00 პროფესიული განათლების ცენტრის სტუდენტთა შესახებ ბრძანებების ინდექსი (რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით);

9-00 პროფესიული განათლების ცენტრის საკადრო ბრძანებების ინდექსი (რექტორის ან ადმინისტარციის ხელმძღვანელის ხელმოწერით);

10-00 პროფესიული განათლების ცენტრის საორგანიზაციო ბრძანებების ინდექსი (რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით).".

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

5. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ხორბალაძე